



სტრატეგიული გეგმის შექმნის მეთოდოლოგია

ქ.მარნეული

შპს მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯის სტრატეგიული განვითარების გეგმა კოლეჯის სასწავლო პროცესის სამუშაო პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტია. სტრატეგიის შემუშავება განპირობებულია კოლეჯის პროფესიული განათლების სტრატეგიული დაგეგმვის აუცილებლობით, რათა გაძლიერდეს კოლეჯის შესაძლებლობები და შესაძლებელი გახდეს დაწესებულების მთელი სისტემის ეფექტურობის გაუმჯობესება. სტრატეგიის შემუშავება და დანერგვა მნიშვნელოვანია კოლეჯის საერთო ღირებულებების, პრინციპებისა და მიზნების მისაღწევად. ის ხელს უწყობს პედაგოგიური და ადმინისტრაციული რესურსის გაერთიანებას და ერთიან შეთანხმებულ საქმიანობას. სტრატეგიული გეგმა ერთობლივი მუშაობის შედეგია. იგი მიმოიხილავს დაწესებულების გრძელვადიან ხედვას, დანიშნულებას, მუშაობის მთავარ პრინციპებს, მნიშვნელოვან მიზნებსა და ამოცანებს, ასევე მათი გადაწყვეტის გზებსა და საშუალებებს ის ხელს უწყობს ისეთი ღირებულებების დამკვიდრება-განვითარებას, როგორებიც არის:

- მაღალი პროფესიონალიზმი;
- განვითარებაზე ორიენტირებულობა;
- გუნდური მუშაობა და თანამშრომლობითი გარემოს შექმნა;
- სწავლის და სწავლების თანაბარი შესაძლებლობა;
- ღიაობა და საჯაროობა;
- ინოვაცია და სიახლისადმი სწრაფვა;
- პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობა და სხვა.

სტრატეგიული დოკუმენტი და მისიის განხორციელების მოქმედებათა გეგმა მუშავდება მართვის, ადმინისტრაციული და სასწავლო პერსონალის, პროფესიული სტუდენტების, პარტნიორთა ჩართულობით, თანამშრომლობისა და საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზის საფუძველზე, კვლევების, ჯგუფებში მუშაობის მიღებული შედეგების გაერთიანების შედეგად, წინა წლის/ების სამოქმედო გეგმების შეფასების, შედეგებისა, ანალიზის, ანგარიშებისა და დასკვნების გათვალისწინებით და სხვა აპრობირებული მეთოდოლოგიით. კოლეჯის განვითარების გრძელვადიანი გეგმის განხორციელება შესაძლებელია კოლეჯის, დაინტერესებული პირების, სხვადასხვა სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციების, განსაკუთრებით საერთაშორისო პარტნიორების, ასევე დამსაქმებლების ერთობლივი თანამშრომლობით. სტრატეგიული გეგმა საჯარო დოკუმენტია, რომლის საშუალებითაც კოლეჯი ცდილობს გაუზიაროს სამომავლო გეგმები ყველა დაინტერესებულ მხარეს და ჩართოს ისინი კოლეჯის საქმიანობის შეფასებასა და შემდგომი სრულყოფის პროცესებში.